

ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის 2015 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური შეიქმნა 2014 წლის 4 აგვისტოს. სამსახურის სტრუქტურა შემდეგნაირია: სამსახურში გაერთიანებულია ორი განყოფილება: ეკონომიკის განვითარების და სოფლის მეურნეობის განვითარების, რომელსაც ხელმძღვანელობენ განყოფილების უფროსები. თითოეულ განყოფილებაში მუშაობს ერთი მთავარი სპეციალისტი. სულ სამსახურში დასაქმებულია 5 ადამიანი, სამსახურის უფროსის ჩათვლით.

სამსახური საქმიანობას ახორციელებს დებულების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. ასევე სამსახურის სპეციალისტების მიერ შემუშავებულია კონკრეტული სამოქმედო გეგმები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სამსახურის საქმიანობის წარმართვა.

1.სამსახურის ძალისხმევითა და აქტიური თანამშრომლობით გამგეობის სხვადასხვა სამსახურებთან, მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტიული გეგმა 2015-2017 წლებისათვის. გეგმის შედგენის პროცესში ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო ფონდებიდან ექსპერტები, რომელთა კონსულტაციების შედეგად სტრატეგიულმა გეგმამ საბოლოო სახე მიიღო და მუნიციპალიტეტის გამგეობა მიყვება აღნიშნულ გეგმაში აღწერილი საქმიანობების განხორციელებას.

2.შევიმუშავეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეჩაიეობის დარგის რეაბილიტაციის პროექტი. აღნიშნული პროექტი გადაეგზავნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შედეგად 2016 წლის 18 იანვრის დადგენილებით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“.

3.ასევე 2015 წელს მომზადდა პროექტი თხილის პლანტაციის გაშენების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია როგორც თხილის მოყვანის აგროტექნიკური რეკომენდაციები კლასიკური თუ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანის მეთოდით, ასევე ეკონომიკური გათვლები ყოველწლიური დანახარჯებისა და შემოსავლის შესახებ.

4.იგივე სახის პროექტი მომზადდა ციტრუსების პლანტაციის გაშენების შესახებ.

5.სამსახურმა მოამზადა პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთისმოწყობის შესახებ, რაც დახმარება იქნება ფერმერებისათვის ცოდნის ასამაღლებლად. ამჟამად საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთში გაშენებულია მრავალწლიანი ნარგავები: ვაშლი, მსხალი, ატამი, ხურმა და კურკოვნები. ასევე აღსანიშნავია, რომ სამსახურის შუამდგომლობით, გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ „კავკასიის გენეტიკასთან“, (დირექტორი თამარ ყაჭაშვილი) რის საფუძველზეც ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრის“ ტერიტორიაზე (სადემონსტრაციო ნაკვეთი) აშენდა ღორის ხელოვნური განაყოფიერების სადგური. ამჟამად სადგურში

შემოყვანილია 4 სანაშენე დედა ღორი (ლანდრასის ჯიშის). სადგური მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რათა მოხდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეღორეობის დარგის განვითარება, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას დაავადებების მიმართ გამძლე ჯიშების დანერგვის გზით. ასევე აღსანიშნავია, რომ 2015 წელს დაინერგა 46-მდე დედა ღორი, მიღებულია 250-მდე გოჭი (ლანდრასისა და იორკშირის ჯიშის), რომლებიც დაავადებების მიმართ უფრო განძლე არიან და შედეგად, უფრო მეტი მოგების მოტანა შეუძლიათ ფერმერებისათვის.

1.სამსახურის ინიციატივით 2015 წლიდან მუნიციპალიტეტის გამგეობამ და ორგანიაცია „ელკანამ“ დაიწყო თანამშრომლობა, პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი ფერმერებისათვის სემინარების სრული კურსის ჩატარებას ბიოლოგიური (ორგანული) თხილის წარმოების შესახებ. პროექტში უკვე ჩართულია თხილის მწარმოებელი 80 ფერმერი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებიდან (გურიანთა, შემოქმედი, ლიხაური).

2.ადგილობრივი მოსახლეობის (ფერმერების) ინტერესი საკმაოდ დიდია აგრობიზნესისადმი. სამსახურის სპეციალისტები ატარებდნენ კონსულტაციებს, ასევე გასვლით შეხვედრებს ფერმერებთან როგორც ბიზნეს იდეების გენერირებისათვის, ასევე ამ იდეების ხორცშესხმისათვის ბიზნეს-გეგმების შესადგენად და დაფინანსების მოსაპოვებლად სხვადასხვა დონორიდან (დაახლოებით 450 კონსულტაცია როგორც ადგილზე, ასევე ვებზე გასლით).

3.სულ 2015 წელს სახელმწიფო პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროექტში განხორციელების პირველ ეტაპზე სულ ჯამში 276-მა განმცხადებელმა წარმოადგინა 151 ბიზნეს იდეის განაცხადი. აქედან 62 განმცხადებლების 380 პროექტი უკვე დაფინანსებულია 299 184 ლარით. ასევე 25 მარტამდე დაფინანსდება 23 განმცხადებლის 11 ბიზნეს პროექტი 108 598 ლარის ოდენობით.

4.აღსანიშნავია, რომ 2015 წელს მუნიციპალიტეტში გაიხსნა ციტრუსის მიმღები 7 მსხვილი პუნქტი, სადაც მოსახლეობას შესაძლებლობა ქონდა ჩაებარებინა ციტრუსი. სამსახური ახდენდა მონიტორინგს ციტრუსების ჩაბარება-რეალიზაციაზე და ინფორმაციას აწვდიდა დაინტერესებულ პირებს და სამთავრობო შტაბს.

5.სამსახური ახდენდა ასევე რეაგირებას მცენარეთა თუ ცხოველთა სხვადასხვა დაავადებებთან დაკავშირებით. სხვადასვა სახელმწიფო სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნულ დაავადებებთან და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებით გამგებლის წარმომადგენლებთან ერთად. სამსახურის ორგანიზებით მოხდა შესაწამლი აპარატების შეკეთება, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს გადაეცათ შესაწამლი პრეპარატები საკარანტინო მავნებლების წინააღმდეგ (თეთრი პეპელა, ბზის ალურა და ხვატარი).

6. ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური აქტიურად იყო ჩართული სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული და განხორციელებული „მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის 2015 წლის პროგრამაში“, რომლის ფარგლებშიც სამსახურის სპეციალისტების მიერ იქნა მომზადებული პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია და გადაგზავნილი იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროში. პროგრამით ისარგებლა 24 000 ბენეფიციარმა.

7. სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობდა პროგრამა „აგროდაზღვევის პროექტის“ ფარგლებში. 2015 წელს დაახლოებით 3 000 ბენეფიციარმა მიიღო სადაზღვეო პრემია 300, 0 ათასი ლარის ოდენობით.

8. მეცხოველეობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელოვნურ განაყოფიერების გზით მიღებული შედეგები: მეხორცული და მერძეული სელექციური ჯიშების დანერგვის ხელშეწყობა (ჯერსი, შვიცი, ჰოლანდიური, ტარანტაიზე და სხვა), რის შედეგად რძის წარმოება მკვეთრად გაიზარდა. აღნიშნული ჯიშები იძლევა 20-25 ლიტრამდე რძეს დღეში ნორმალური კვების პირობებში; ხელოვნური განაყოფიერების გზით 2015 წელს მიღებული იქნა 1552 ხზო.

9. მუნიციპალიტეტში ღორის ხელოვნური განაყოფიერების საკითხების პოპულარიზაციისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით, სამსახურის მიერ მომზადდა და დაიბეჭდა ღორის მკვებისა და ნაყოფის მოგების 2015 და 2016 წლის კალანდრები, რეკომენდაციები ღორის ხელოვნური განაყოფიერებით დაინტერესებული ფერმერებისათვის, რომლებიც დარიგდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

10. გამგებლის ძალისხმევით დავიწყეთ მოლიანი-ჩალიანი-ლეკიანის ტერიტორიების სამელიორაციო სამუშაოები, რომლის შედეგადაც სოფელ ნატანებში მოწესრიგდება 480 ჰა სასოფლო სამეურნეო მიწის ფართობი. პროექტს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და შპს „საქართველოს მელიორაცია“ (სულ 600 ჰა-მდე).

11. სამსახური ასევე მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი ფერმერებისათვის საინტერსო შეხვედრების ორგანიზებაში; კერძოდ:

ა. შეხვედრა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან მარიანა მორგოშის, „მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგანზაფხულო სამუშაოების“ პროექტების მენეჯერთან დავით კიკნაძესა და შპს მექანიზატორის დირექტორი ზვიად ჩხაიძესთან, სადაც ფერმერებს და დაინტერესებულ პირებს მიეწოდათ კონკრეტული ინფორმაცია პროგრამის შესახებ.

ბ. ჩაის თემაზე კონფერენცია ჩაის კულტურის აღორძინებისა და გურული ჩაის პოპულარიზაციის მიზნით, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის „ძლიერი ქალი-ძლიერი სახელმწიფოს“ დამფუძნებლის - ლალი მოროშკინას ინიციატივით ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. კონფერენციის გახსნამდე ლალი მოროშკინა ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვში ჩაის პლანტაციას ესტუმრა და ჩაის კრეფის პროცესშიც ჩაერთო.

გ. შეხვედრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილესთან, ქალბატონ ქეთევან ბოჭორიშვილთან და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან პროგრამა „აწარმოე საქართველოში - მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის პრეზენტაციის და ადგილობრივი მოსახლეობისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

დ. მოეწყო შეხვედრა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარესთან ქალბატონ ნინო ზამბახიძესთან და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან, სადაც დიალოგის რეჟიმში იქნა განხილული ყველა ის პრობლემა, რომელიც დღეს ადგილობრივ ფერმერებს აწუხებთ. მოხდა ინფორმაციების გაცვლა

ე. ტრენინგები ადგილობრივ თავლის მწარმოებლებთან, 10 დღიანი გასვლითი ტრენინი, რომელიც ჩაატარა ჰოლანდიურმა ორგანიზაცია „პამიმ“ (ექსპერტი გიორთ იან აიზენგა).

1.ასევე აღსანიშნავია, რომ სამსახურმა გაუწია პრაქტიკული კონსულტაციები ფერმერებსა თუ ბიზნესით დაინტერესებულ ადგილობრივ მოსახლეობას შემდეგ საკითხებზე:

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგრანტო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ – 155 კონსულტაცია;
- თხილის პლანტაციის გაშენება - 55 კონსულტაცია;
- ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია - 110 კონსულტაცია;
- წაბლის მეურნეობის გაშენება - 5 კონსულტაცია;
- კოოპერატივების შექმნა - 150 კონსულტაცია;
- აგროდაზღვევა - 70 კონსულტაცია;
- სასათბურე მეურნეობის განვითარება - 10 კონსულტაცია;
- „მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის 2014 და 2015 წლის პროგრამა“, აგრობარათის შესახებ კონსულტაცია - 510 კონსულტაცია;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის მავნებლებთან ბრძოლა - 10 კონსულტაცია.
- ბიზნეს გეგმების შედგენა - 23 კონსულტაცია;
- ადგილზე გასვლები - 37 კონსულტაცია;
- მიწის ლეგალიზაციის პრობლემები - 9;
- სამაცივრე მეურნეობას გამართვა - 5 კონსულტაცია;
- ციტრუსების, კვიცი, პავლოვნიის, ვაზის გაშენების შესახებ - 35;
- მეღორეობა, კურდღლის, ფრინველის მოყვანა-რეალიზაცია - 10 კონსულტაცია;

1.ჩვენი სამსახური ჩართული იყო კულტურული ღონისძიებების ორგანიზაციულ საკითხებში ადგილობრივი ფერმერებისა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, კერძოდ:

ა. სახალხო დღესასწაული „ექვთიმეობა“ სამსახურის თანამშრომლებმა ორგანიზება გაუკეთეს ადგილობრივ ფერმერებსა და მეწარმეებს და ღონისძიებაზე მოხდა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა, რაც ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ბ. სახალხო დღესასწაული „ალეგრობა - ოზურგეთობა“ - სამსახურის თანამშრომლებმა ორგანიზება გაუკეთეს ადგილობრივ ფერმერებსა და მეწარმეებს და ღონისძიებაზე მოხდა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა.

გ. სახალხო დღესასწაული „შემოქმედლობა“ -სამსახურის თანამშრომლებმა ორგანიზება გაუკეთეს ადგილობრივ ფერმერებსა და მეწარმეებს და ღონისძიებაზე მოხდა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა.

1. სამსახური ასევე დაინტერესებული იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ კი ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვო ბაღების ტერიტორიების დეკორატიული ნარგავების მოშენებით. ამ მიზნით რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელ ოზურგეთი, გურიანთა) საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე დაირგო პავლოვნის ნერგები. აქციაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები, ასევე ბაღის აღსაზრდელებიც იყვნენ ჩართულნი.

ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის სპეციალისტები კვლავ ყველაფერს გააკეთებენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოთ.

სამსახურის უფროსი:

გ.ხარაბაძე